საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა

"01" 10 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1339/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 30 აგვისტოს N 68661/03 განაცხადით შპს "BTM TEXTILE"-ის წარმომადგენელმა დავით ჩავლეიშვილმა (მის: მელიქიშვილის ქ. 25, ბინა 3, ბათუმი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „İN LİNE" (რეგ. N 24121) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „İN LİNE" (რეგ. N 24121) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 30.09.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 30.09.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 25-ე და 35-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „İN LİNE" (რეგ. N 24121) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით 25-ე კლასის რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ (მოთხოვნის რეგისტრაციის N 371), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 01.10.2013.

ასლი დედანთან სწორია
01 10 2013 წ.
ხელმოწერა

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს "BTM TEXTILE"-ის წარმომადგენელს დავით ჩავლეიშვილს (მისამართი: მელიქიშვილის ქ. 25, ბინა 3, 6000, ბათუმი)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 24120

მფლობელი: შპს «BTM TEXTILE»

მისამართი: მელიქიშვილის ქ. 25, ბინა 3, , 6000, ბათუმი, საქართველო

კლასი:

25 - ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

IN LINE

რეგ. N 24121

მფლობელი: შპს «BTM TEXTILE»

მისამართი: მელიქიშვილის ქ. 25, ბინა 3, , 6000, ბათუმი, საქართველო

კლასი:

25 - ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

DOUBLE SIX

რეგ. N 24119

მფლობელი: შპს «BTM TEXTILE»

მისამართი: მელიქიშვილის ქ. 25, ბინა 3, , 6000, ბათუმი, საქართველო

კლასი:

25 - ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი.